# ქალაქ თბილისის მერია

2010048
07/1315039-25
04.06.2013

შპს კავკასუს როუდ პროჯექტ (202258243),
საქართველო, ქ. თბილისის, ძველი თბილისის
რაიონში, ღესელიძის ქ., №44

თქვენი 30.05.2013 წლის (#96/13) განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური თანახმაა, მირზა შფის #5-ში (სექტორი-კრწანისი), შპს ,,კავკასუს როუდ პროჯექტ"-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე მიმდინარე მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობის განხორციელების მიზნით, მოიჭრას 2 (ორი) ძირი ავარიული და ხმობაში შესული ალვის ხე და ტერიტორია გათავისუფლდეს თვითამონაყარი და ველურად მოზარდი ხე-ბუჩქოვანი მცენარეებისაგან. სამუშაო განხორციელდეს საპროექტო გენგეგმის შესაბამისად.

თბილისის მერია / ქ. თბილისის მერიის
ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური
ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურის უფროსი — გიორგი ქორქაშვილი

№ [illegible]

30.05.2013

ქ. თბილისის ეკოლოგიისა და გამწვანების
საქალაქო სამსახურის უფროსს,
ბატონ გიორგი ქორქაშვილს

ბატონო გიორგი,

შ.პ.ს. "კავკასუს როუდ პროჯექტ"-ი იწყებს ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში (სექტორი-კრწანისი), მირზა შაფის ქ. №5-ში, შ.პ.ს "კავკასუს როუდ პროჯექტ"-ის კუთვნილი მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსის სამშენებლო სამუშაოებს.

ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის ბრძანების №433191 (26.11.2012) შესაბამისად ჩვენ ვალდებული ვიყავით წარგვედგინა არქიტექტურის სამსახურში "შესაბამისი თანხმობა ქ. თბილისის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურიდან საპროექტო გენგეგმის შესაბამისად მწვანე ხე ნარგავების მოჭრასთან დაკავშირებით".

ქ. თბილისის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის წერილებით:

1. №07//169596-25 (31.10.2012) "ქ. თბილისის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური თანახმაა მოიჭრას ავარიული და ხმობაში შესული 2 (ორი) ძირი ალვის ხე, და

2. 2007894 №07/13140100-25 (24.05.2013) "ქ. თბილისის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური თანახმაა, მირზა შაფის №5 (სექტორი-კრწანისი), შპს "კავკასუს როუდ პროჯექტ"-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე მიმდინარე მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობის განხორციელების მიზნით, ტერიტორია განთავისუფლდეს თვითნაყარი და ველურად მოზარდი ხე-ბუჩქოვანი მცენარეებისაგან".

ჩვენ მივიღეთ თანხმობა მწვანე ხე-ნარგავების მოჭრასთან დაკავშირებით.

ზემოთ აღნიშნული წერილები წარედგინა ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურს.

ლესელიძის 1-44, ბეიდანმალისი
თბილისი 0105, საქართველო

44 Lesse dze str. Mertan Palace
Tbilisi 0105, Georgia

[illegible]

ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის გადაწყვეტილებით №710925 (29.05.2013) მივიღეთ შემდეგი შინაარსის პასუხი:

"თქვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ შეესაბამება არქიტექტურის სამსახურის მიერ დადგენილ პირობას, იმისათვის, რომ ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 26.11.2012 წლის №433191 ბრძანების მე-5 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა ჩაითვალოს შესრულებულად, თქვენ სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უნდა წარმოადგინოთ საპროექტო გენგეგმის შესაბამისად თითოეული მწვანე ხე-ნარგავის მოჭრასთან დაკავშირებით ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიის და გამწვანების საქალაქო სამსახურის თანხმობა."

გთხოვთ მოგვცეთ თანხმობა საპროექტო გენგეგმის შესაბამისად თითოეული მწვანე ხე-ნარგავის მოჭრასთან დაკავშირებით ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მოთხოვნის შესაბამისად.

წინასწარ გიხდით მადლობას,

პატივისცემით

შპს "კავკასუს როუდ პროჯექტ"-ის

დირექტორი ლევან ტრაპაიძე

დოკუმენტის ნომერი : 07/1315039-25 რეგისტრაციის თარიღი: 30.05.2013

მერიის კომპეტენციაში არსებული ნებისმიერ საკითხზე ინფორმაციის მისაღებად დაგვიკავშირდით 24 საათის განმავლობაში

თბილისის მერიის ცხელი ხაზი 272 22 22

ქ. თბილისი 0160, შარტავას ქუჩა №7